ფსიქოლოგიური მახასიათებლების როლი მასწავლებელთა ორგანიზაციულ სოციალიზაციაში

მარიამ ალხაზაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

02.06.2025

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მარინე ჯაფარიძეს, რომლის პროფესიონალიზმი, ჩართულობა, რჩევები და რეკომენდაციები ჩემთვის ფასდაუდებელი იყო.

ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო კვლევის თითოეულ მონაწილეს, რომელთა მონაწილეობის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება.

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოაგენდა ფსიქოლოგიური მახასიათებლების—თვითეფექტიანობისა და ასერტულობის მიმართების დადგენა მასწავლებელთა ორგანიზაციულ სოციალიზაციასთან.

ორგანიზაციული სოციალიზაცია ეს არის სოციალიზაციის პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი ფორმა. პროცესი, რომლის დროსაც თანამშრომელი იძენს უნარებს, ეცნობა და იზიარებს ორგანიზაციის ნორმებს, კულტურასა და ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია ამ ორგანიზაციაში მისი როლის წარმატებით შესრულებისთვის. თვითეფექტიანობა არის საკუთარი შესაძლებლობების თვითრწმენა—განახორციელო ქცევა, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ამოცანის მისაღწევად. ასერტულობა არის პიროვნების უნარი ისაუბროს გულწრფელად, შეეძლოს "არა"ს თქმა და ადვილად დაამყაროს კონტაქტები. ასერტული ქცევა გულისხმობს საკუთარი უფლებების დაცვას იმგვარად, რომ არ შეილახოს სხვისი უფლებები. ასერტულ ინდივიდს შეუძლია გულწრფელად და პირდაპირ გამოხატოს საკუთარი საჭიროებები, სურვილები, აზრები და ემოციები ისე, რომ არ შეურაცხყოს სხვები.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით და გამოყენებული იყო ხელმისაწვდომობის შერჩევა. კვლევაში გამოყენებული თვითადმინისტრირებული კითხვარები გავრცელდა ინტერნეტის საშუალებით "თოვლის გუნდის" მეთოდით. მონაცემების გასაანალიზებლად ჩატარდა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს მოქმედ სკოლებში დასაქმებული 116 მასწავლებელი, რომელთა ასაკი მერყეობდა 22 წლიდან 70 წლამდე. მონაწილეთა 95.7%-ს წარმოადგენდნენ ქალები.

შედეგებმა აჩვენა, რომ თვითეფექტიანობა მნიშვნელოვნად პროგნოზირებდა ორგანიზაციულ სოციალიზაციას, ხოლო ასერტულობა, მიუხედავად ორგანიზაციულ სოციალიზაციასთან ძლიერი კორელაციისა, არ აღმოჩნდა სოციალიზაციის პროცესის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პროგნოზირებადი ფაქტორი.

მოცემული კვლევა ვარაუდობს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტში თვითეფექტიანობა შეიძლება იყოს კულტურულად შესაბამისი და

სოციალურად მისაღები გზა პროფესიული ადაპტაციისაკენ, ხოლო ასერტულობა, შეზღუდული იყოს სისტემური და კულტურული ნორმებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ორგანიზაციული სოციალიზაცია, თვითეფექტიანობა, ასერტულობა.

Abstract

The aim of the study was determining the relationship between self-efficacy and assertiveness with teachers' organizational socialization.

Organizational socialization is one of the important forms of the socialization process. The process by which an employee acquires the skills, becomes familiar with, and shares the norms, culture, and values of an organization that are necessary for the successful performance of his or her role in that organization. Self-efficacy is the belief in one's own abilities to perform the behavior necessary to achieve a specific task. Assertiveness is the ability of a person to speak honestly, to say "no," and to easily establish contacts. Assertive behavior involves defending one's rights in a way that does not infringe on the rights of others. An assertive individual can honestly and directly express his or her needs, desires, thoughts, and emotions without offending others.

The study was conducted using a quantitative method and convenience sampling was used. The self-administered questionnaires used in the study were distributed via the Internet using the “snowball” method. Multiple regression analysis was performed to analyze the data. Within the framework of this study, 116 teachers employed in operating schools in Georgia were interviewed, whose ages ranged from 22 to 70 years. 95.7% of the participants were women.

The results showed that self-efficacy significantly predicted organizational socialization, while assertiveness, despite its strong correlation with organizational socialization, was not found to be a statistically significant predictor of the socialization process.

This study suggests that in the Georgian educational context, self-efficacy may be a culturally relevant and socially acceptable path to professional adaptation, while assertiveness may be limited by systemic and cultural norms.

Keywords: organizational socialization, self-efficacy, assertiveness.